თბილისის არქიტექტურა

ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №3389568

ნომერი: AR1520109

თარიღი : 04.07.2017

გაცემის თარიღი : 11.07.2017

გაცნობის თარიღი : 12.07.2017

შედეგი : შუალედური.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , სადგური ლილო , N 51 / ქალაქი თბილისი , სადგური ლილოს მიმდებარედ ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ფირი ბაირამოვი პ/ნ 01029008149
- ვარკეთილი მესამე მასივი მეათე კვარტალი

ნომენკლატურა :

- I კლასი
- აბრებისა და რეკლამების განთავსება
  ახალი მშენებლობა

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 83-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილების თანახმად

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია და გაცნობებთ შემდეგს:
1 .გაითვალისწინეთ: "რეკლამის შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად "რეკლამა საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ვრცელდება სახელმწიფო ენაზე. ეს მოთხოვნა არ ეხება იმ გადაცემებსა და გამოცემებს, რომლებიც ვრცელდება სხვა ენაზე, აგრეთვე არ ეხება წარწერას საქონლის გამოსახულებაზე, გარდა სასაქონლო ნიშნისა, ხოლო საქართველოში განთავსებული, სხვა ენაზე რეგისტრირებული სასაქონლო (მომსახურების) ნიშნის (ლოგოტიპის) მფლობელს ევალება მისი ტრანსლიტერაციის წესით გადმოცემა ქართულ ენაზე". გამომდინარე აქედან, სარეკლამო აბრაზე წარწერა შესრულებული უნდა იყოს სახელმწიფო ენაზე, ხოლო უცხო ენაზე შესრულებული წარწერა ზემოთ (ყველა შემთხვევაში) და რაოდენობით არ უნდა აღემატებოდეს სახელმწიფო ენაზე შესრულებულ (ტრანსლიტერირებულ) ფორმას. მანათობელი წარწერის შემთხვევაში, ორივე ენაზე შესრულებული (ქართული და უცხოური) წარწერები ერთნაირად უნდა იყოს განათებული. საპროექტო სარეკლამო აბრა დაკორექტირდეს ზემოაღნიშნულის შესაბამისად და წარმოდგენილ იქნას განახლებული ფოტომონტაჟი.
2 .მოთხოვნის ტექსტში განიმარტოს ინფორმაცია უკვე მოწყობილ „არსებული სარეკლამო გაფორმების“ შესახებ და წარმოდგენილ იქნეს აღნიშნულის კანონიერების დამადასტურებელი დოკუმენტი.
3 .წარმოდგენილი არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტოსურათებით ირკვევა რომ „არსებული სარეკლამო გაფორმება“ უკვე მოწყობილია და აღნიშნულ საკითხზე სამსახურმა რომ შესძლოს მსჯელობა საჭიროა გაითვალისწინოთ:
საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის 57–ე დადგენილების 63-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, თუ წარმოებული მშენებლობის შედეგად სამშენებლო დოკუმენტში განხორციელდა ცვლილებები, რაც საჭიროებს მშენებლობის ახალ ნებართვას, ან/და წარმოებულია უნებართვო მშენებლობა, მშენებლობის ნებართვის გამცემი ორგანო უფლებამოსილია იმსჯელოს მშენებლობის ნებართვის გაცემის თაობაზე დამრღვევის მიერ შესაბამისი დარღვევისათვის გამოცემული აქტისა და დაკისრებული ჯარიმის გადახდის ქვითრის წარდგენის შემდეგ, ან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის მითითების საფუძველზე განხორციელდეს უნებართვო სამუშაოების დემონტაჟი და წარმოადგინეთ განახლებული ფოტოსურათები და ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სათანადო აქტი.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განხორციელდეს უნებართვო სამუშაოების დემონტაჟი და წარმოდგენილ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურის სათანადო აქტი ან არსებული სარეკლამო გაფორმება ამოღებულ იქნეს საპროექტო სამუშაოებიდან.
4 . წარმოდგენილი მინდობილობა გაცემულია 03 ივლისს, 10 დღის ვადით. გაითვალისწინეთ, რომ თუ განაცხადის ხელახლა განხილვაზე წარმოდგენა მოხდება აღნიშნული ვადის გასვლის შემდგომ, საჭირო იქნება განახლებული, ძალაში მყოფი მინდობილობის წარმოდგენა.
თქვენ გეძლევათ 15 დღიანი ვადა მითითებული ხარვეზების გამოსასწორებლად, თუ დადგენილ ვადაში განმცხადებელი არ წარმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

გაითვალისწინეთ, თქვენი მხრიდან კვლავ არასრულყოფილი და ხარვეზების შემცველი დოკუმენტაციის წარმოდგენის შემთხვევაში, აღნიშნული განცხადება დარჩება განუხილველი.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.